№ 100

სახალხო გაზეთი

№ 100

შაბათი, 4 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

კვირას, 5 ენკენისთვეს, ქალ. ქუთაისში საფეხნის ამაღლების ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

პელაგია პეტრეს ასულის ბექანეიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ შვილები: **ნესტორ, სამსონ, ვასილ, მაკრინე, თეკლე, და ოლღა ბექანეიშვილები,** ნაცნობებს და ნათესავებს. (კ. 1—37—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

21 აგვისტოს მაგიერ შაბათს, 4 ენკენისთვეს ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გაიმართება

ლიტერატურულ-ვოკალური
საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გოცირიძე და ახალგაზრდა მწერლები: გ. ახოსპირელი, გელა, ემმაკი, იასამანი, ირეთელი, რ. ლეჩხუმელი, ტრ. რამიშვილი, ფ. რუშაველი, პართენაშვილი, ქურიშვილი და სხვ. ვ. ს. მესხიშვილი წაიკითხავს გრიმში „შეშლილის წერილებს“, ნ. ვ. გოგოლისა. გ. გედევანოვი და ნ. გოცირიძე შეასრულებენ „ვაი-ვაის“ ხმაზე ახალ კუპლეტებს. მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს.

გურულების ხორო შეასრულებს სახალხო სიმღერებს და ორ-სართულიან ფერხულს. დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ფასები 10 კ. 1 მ. 50 კ.-მდე. 21 აგვისტოს აღებული ბილეთები გამოდგება ამ საღამოსთვის. გამგე **ხ. სვიმონიძე.**

მისაღები გამოცდა

პირველ მოსამზადებელ კლასში, თფილისის საბალოსნო სკოლაში პირველ **ხარისხის,**—იმპერატ. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, იქნება

2 ოქტომბერს, 1910 წ.

თხოვნა მიიღება პირველ ოქტომბრამდე.—მოწაფეები მხოლოდ პანსიონერებად მიიღებიან წელიწადში **150** მანეთად. დაწვრილებითი ცნობის გაგება შეიძლება სკოლის კანცელიარიაში დილის ათი საათიდან დღის თორმეტის ნახევრამდე და საღამოს ოთხი საათიდან ხუთამდე. (3—34—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ვ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. [illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—431)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

დამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10\frac{1}{2}$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცკონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—270)

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1.	გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ.	ფასი 80 კ.
2.	ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა,	„ 50 „
3.	ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა,	„ 20 „
3.	ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა,	„ 50 „
5.	საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა,	„ 25 „
6.	ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა,	„ 10 „
7.	დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, ჰ. ქარაიასი.	„ 15 „

(25—6.—14)

კვირას, 5 სექტემბერს

დღის $11\frac{1}{2}$ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში

მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ

„ქართველ მოლარეთა საზოგადოება სანთურისა“.

განსახილველია:

1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალ წევრების მიღება;
3. საზოგადოების გამგეობის არჩევა. (4—3)

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში

მიიღება ხელის მოწერა

5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე
დავით კლდიაშვილის
სრულ თხზულებაზე

(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15--15)

—კვირას, 5 სექტემბერს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—

გაიმართება 6 საინტერესო კავკასიური



ჭიდაობა

კრუგის სასარგებლოდ

კულა გლდანელის

ხელმძღვანელობით,

რომლებმაც იჭიდავეს 18 ივნისს და ორივე წაქცეულები დარჩნენ, ეხლა გადაწყვეტილათ იჭიდავებენ ერთმანეთის გამოთხოვნით, 1. გიორგი **ჯიბგირი** და მეტივე ბიტონკა მიშკას ბიჭი. **2.** მიხაკა ქურხული და ვასო ბეკურაშვილი (ავჭალელი), 25 მანეთის სანაძლეოთი წამქცევის სასარგებლოთ. **3.** გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და მიხაკა ლაშქაროვი (ხანდაკელი). **4.** ვასო კოშკელაშვილი (ნავთლუღელი) და პატარა მეტივე დათიკო ნატრაშვილი. **5.** თედო კაკაშვილი (ნასელაჩ. და გიორგი მანუჩაროვი (თლუნფი ნავთლუხელი). **6.** ბებერუა როსტიასშვილი და ნიკა გარეჯელი (გოგიტას ბიჭი).

გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი

დასაწყისი საღამოს 51/2 საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.**

(1—363—1)

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—25)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაიღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—209)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. **ვერა, ყორღანოვის ქ. 20.** (0—6.—40)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ბაბაშვილისა. (უ)

ბრიუსელის უნივერსიტეტის სტუდენტი-ფილოლოგი ხელ მისაწდომ ფასებში აძლევს ფრანგულისა ლათინურისა და **სიტყვიერების გაკვეთილებს**

ადრესი რედაქციაში. (10—უ.—2)

ნაძალადევის სალ ნაწილში

იყიდება

სასახლე ადგილები ზომით 84 ოთხკუთხი საჟენი. საჟენი 5 მანეთიდან და უფრო მეტი. მიწების სანახავად უნდა მიჰმართონ დარაჯს იაგორს რომელიც სცხოვრობს კურგანისა და მაგისტრალის ქუჩების კუთხეში, პირობების შესატყობად ახვერდოვის მაღაზიაში, შუა ბაზარში. (3—1)

ჭიათურის

გამგეობა ქართ. შორის წერა-კ. გამავრ. საზოგადოების განყოფილებისა იწვევს მასწავლებელს ცხრუკვეთის სკოლისათვის (ჭიათურიდან 8 ვერსია). მასწავლებელს **ჯამაგირი** მიეცემა თვეში 30 მანეთი, ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე. თხოვნები **დოკუმენტებით** მიიღება 15 სექტემბრამდე თავ. კიტა (ივანე) გრიგორის ძე აბაშიძის სახელობაზე, ჭიათურაში. (3—39—1)

ტფილისი, 4 სექტემბერი.

ჯერ არ არსებულ, დასაარსებლად მხოლოდ განზრახულ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავს უკვე შავი ყორნები სჩხავიან. ის გავლენიანი წრე, რომელიც ამ ბოლო დროს სათავეში უდგა ტფილისის რუსულ გაზეთს „ზაკავკაზიეს“, თითქოს რაიმე განსაცდელში ჩავარდნილიყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება არსდება, იერიშით მიდის ამ ახალს დაწესებულებაზე და სცდილობს ეხლავე ნიავს გააყოლოს იმის სახელიც კი. „ზაკავკაზიის“ ფურცლებიდან იერიში ქართულ სამეურნეო საზოგადოებაზე ცნობილს მეფელეტონეს ლ. ყიფიანს მიაქვს. ამ მწერალს ქართველი საზოგადოება სრულიად საკმაოდ იცნობს. ყველამ იცის, როგორც იმის ენაწყლიანობა, აგრეთვე აზრთა ცვალებადობა. ამისდა მიუხედავად არ შევვიძლიან პასუხი არ გავცეთ იმ უცნაურ არგუმენტებზე, რომლებსაც „ზაკავკაზიე“ მიჰმართავს განზრახულ სამეურნეო საზოგადოებისთვის ასე საადრევად სახელის გასატეხად.

„ზაკავკაზიეს“ ფარხმალს ქართულ სამეურნეო საზოგადოების წინააღმდეგ ის მოსაზრება შეადგენს, რომ ეს განზრახული საზოგადოება ქართულია. ქართული სამეურნეო საზოგადოების დაარსება ტფილისში, სადაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოება არსებობს, „ზაკავკაზიეს“ აზრით, შეუწყნარებელი ძალთა გათიშვაა. საინტერესოა, რომ ინტერნაციონალური სამოსელი არავის არ აგონდება, როცა სიტყვა სომეხთა სამეურნეო საზოგადოებაზეა; თითონ „ზაკავკაზიე“ სწერდა ამ ორი დღის წინად: სომეხთა სამეურნეო საზოგადოებამ მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, არსებობს, ბევრი რამ მოიმოქმედა სომხის ხალხში სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად და შინამრეწველობის განსავითარებლადაო. გამოდის, რომ „ზაკავკაზიეს“ თეორიით (!), ძალთა დანაწილების და გათიშვის შიშით ქართველები ქართველ ხალხში სამეურნეო ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებას არ უნდა აარსებდნენ, ხოლო სომხებს კი ქება და დიდება ეკუთვნით სწორედ იმისთვის, რომ გამოითიშნენ, გამოცალკევდნენ, დაარსეს ნაციონალური სამეურნეო საზოგადოება და ნაყოფიერადაც მოქმედებენ. Kuod Licet Lovi non licet bovi. (რაც შეჰფერის ზევსს, არ შეჰფერის მოზვერს).

რეაქციის მწვერვალზე შემდგარმა, თანამედროვე რუსეთმა ეხლახან ერთი საუცხოვო სიბრძნე აღმოაჩინა: მცხოვრებლებმა ისეთი საზოგადოება არ უნდა დაარსონ, რომლის მიზანსაც ემსახურება საქალაქო და საერობო თვითმმართველობაო. ამავ ხასიათის სიბრძნეს ჰლაღადებს „ზაკავკაზიე“: ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება არ უნდა დაარსდეს, იმიტომ რომ არსებობს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაო. საყურადღებოა, რომ ამ კავკასიის საზოგადოების უენერგიობა და უმოქმედობა „ზაკავკაზიეს“ არ ანაღვლიანებს: ვისაც ენერგია და სიცოცხლე გაგაჩნიათ, მობრძანდით და გამოაცოცხლეთ ეს საზოგადოებაო...

ასე ალმაცერად უცქერის „ზაკავკაზიე“ განზრახულ ქართულ სამეურნეო საზოგადოებას და გულის მოსაფხანად იწყინება: საზოგადოება ვერსად ვერავითარ მატერიალურ ღონისძიებას ვერ იშოვნის მოქმედების გასავითარებლადაო... რა ექმა უნდა, ეს ყოვლისმცოდნე წინასწარმეტყველება ვერავის ვერ შეაშინებს, რადგან ქართველ ხალხში მეურნეობის განვითარება ყველას დიდ საკეთილო საქმედ მიაჩნია და ამ მიზნით დაარსებულ საზოგადოებას, იმ პაწია ჯგუფის გარდა, რომელიც ასულდგმულებს „ზაკავკაზიეს“, ყველა აღტაცებით და სიამოვნებით მიეგებება.

აღტაცებით ვეგებებით ქართულ სამეურნეო საზოგადოების დაარსებას ჩვენც სწორედ იმიტომ რომ, იგი ნაციონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია იქნება. ნაციონალური ორგანიზაცია ზოგჯერ ძალთა დანაწილებაა და ზოგჯერ ნაციონალურ ბრძოლაზე დასახარჯ ენერგიის ეკონომია. ისეთ საზოგადოებაში, როგორიც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაა, დიდი ენერგია იხარჯება ნაციონალურ მიხლა-მოხლაზე; დიდი ენერგია იხარჯება აგრეთვე მოქმედების ნაციონალურ ელფერის დამალვაზე. როცა უადგილო ინტერნაციონალურ საზოგადოების ადგილს შესაფერი ნაციონალური ორგანიზაციები დაიჭერენ, ეს უქმად დახარჯული ენერგია, საქმეს მოჰხმარდება. სომეხთა სამეურნეო საზოგადოების მაგალითი გვიმტკიცებს, რომ სამეურნეო კულტურის გასავრცელებლად სწორედ ნაციონალური ორგანიზაციებია საჭირო და არა ინტერნაციონალური. ინტერნაციონალურმა სამეურნეო საზოგადოებამ თავისი უვარგისობა უკვე დაამტკიცა. დროა, დავინახოთ ეს მარტივი გარემოება და შევუდგეთ ნაციონალურ ფორმებში კულტურულ თვით-მოქმედების თვითორგანიზაციას, რაც უნდა სწერონ, რაც უნდა იფიქრონ იმათ, ვინც წარსულში ინტერნაციონალურ საზოგადოებებში არა მოღვაწეობდა და მომავალში ნაციონალურ საზოგადოებებს არ თანაუგრძნობს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

ვენა. შეუთანხმებლობისა გამო, შუაღამისას მუშებმა პასიური გაფიცვა მოახდინეს ავსტრიის ყველა რკინის გზის სადგურებზე.

მურსია. სოფელ აბანალში კლდე ჩამოინგრა. იმსხვერპლა 7 კაცი, დაშავდა რამდენიმე.

გირინი. პროვინციალურ ერობის თაოსნობით მოწყობილ მიტინგზე წამოაყენეს საკითხი რუს-იაპონიის შეთანხმების შესახებ კორეის ანექსიის გამო.

დაადგინეს მანჯურიაში ჯარის რიცხვი გამრავლებულ იქმნას. გამოეცხადოს ბოიკოტი იაპონიის საქონელს და ფულზე წარწერილი რუს-იაპონური ნიშანი მოისპოს. აღიძრას შუამდგომლობა, რათა პეკინში მალე გახსნან პარლამენტი და მცხოვრებთა შორის დიდი აგიტაცია გასწიონ ამ დადგენილების განსახორციელებლად.

გრანველე. საუზმის დროს, უცხოელ აფიცერთა პატივსაცემად, გენერალმა მიშელმა მადლობა გადაუხადა გენერალ გენგროსს და სხვა რუსის აფიცრებს ალლუმზე დასწრებისთვის და განაცხადა, რომ საფრანგეთის მხედრობა და ჯარი დიდის სიმპატიით ეპყრობიან რუსის მხედრობას. შემდეგ დაუკრეს რუსული ჰიმნი. გენ. გენგროსსი დიდი მადლობელი დარჩა ასეთ თანაგრძნობისთვის და დალია სადღეგრძელო პიკარდის მხედრობის და საფრანგეთის ჯარის წარმატებისათვის.

ურმია. ახალმა გუბერნატორმა პოლიციის უმთავრეს პუნქტებში გაგზავნა რამდენიმე დამცველი რაზმი. ერთს რაზმს სოფელ ანგარში შეტაკება მოუხდა ქურთებთან. გუშინდელ დღიდან ბრძოლაა გაჩაღებული.

ჟენევა. ინგლისელ ჯარის ქაირში შესვლის წლის თავზე, 1 სექტემბერს, შესდგა ახალგაზდა ეგვიპტელების სამუდამო კომიტეტის კრება. ინგლისელ მუშათა პარტიის მეთაურმა-კეირგარდმა-განაცხადა: პატიოსნებაში არ ჩამოერთმევათ ეგვიპტელების დევნა ინგლისელებსაო. კომიტეტმა გაუგზავნა დეპეშა ხედივს და კონსტიტუციის აღდგენა მოსთხოვა. აგრეთვე მოითხოვეს ინგლისელ ჯარის გაყვანა და ეგვიპტის ავტონომიის აღდგენა.

ჰაერში ფრენა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ფრანგი ავიატორი ლოტერი—ორჯელ აფრინდა ბლერიოს მონოპლანზე 200 მეტრის სიმაღლეზეო. ასვლას მოანდომა 10 წუთი. ავიატორი კემუროვი 9 წუთის განმავლობაში აფრინდა 70 მეტრის სიმაღლეზე.

რუსეთი

პეტერბურგი. ზაბაიკალში, ბუდდის მოძღვრების მიმდევართა შორის ხმა გავრცელდა, ვითომ აკრძალათ ბუდდის მოძღვრების მიმდევარ მლოცველების ტიბეტში მისვლა. ამ შეკითხვაზე ჩინეთის მთავრობამ უპასუხა რუსეთისას, რომ შიდა ტიბეტში შეშვება მხოლოდ მოგზაურებისათვის არის აკრძალული და არა მლოცველებისათვისაო.

სარატოვი. ნოვოპავლოვკაში დინამიტის პატრონებით აფეთქდა პოლკოვნიკ რედიკინის ქვრივის სახლი. ქვრივი მძიმედ დაშავდა.

პეტერბურგი. სასამართლო პალატამ უყურადღებოდ დასტოვა „პეტერბურგ. ლისტოკ“-ის რედაქტორისა და თანამშრომლის აპელაცია. რედაქტორს ორი კვირით და თანამშრომელს ერთი თვით დაპატიმრება ჰქონდათ გადაწყვეტილი მთავრობაზე ყალბ ცნობების გავრცელების გამო.

ხოლერა.

კიევი. მოარულის გამო, სახელმწიფო სათათბირომ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა, რათა გადადებულ იქმნას ოდესაში სრულიად რუსეთის მოღვაწეთა კრების მოწვევა.

პეტერბურგი. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 47, მოკვდა 19, საავადმყოფოში იმყოფება 594. მოარულთან მებრძოლმა კომისიამ ურალისა და ამურის ოლქი ხოლერის მხრივ საშიშრად გამოაცხადა.

„სახალხო გაზეთის“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: ლექსები: ახოსპირელისა, ელო შანშიაშვილისა, ა. შანშიაშვილისა. ს. ფაშალიშვილისა, დ. ელიოზიშვილისა და „ახალი სადღვებლები“; სურათები:- „შელოცვა“ ი. გოგებაშვილისა, სადღვებლები, და კარიკატურა.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი.** დღეს მოხდება კერძო თათბირი ქალაქის საბჭოს ხმოსანთა. თათბირი ექნებათ ქალაქის გამგეობის მიერ უკვე გადაწყვეტილების შესახებ: 1. დაერქვას დიდუბის ქუჩას ჩერქეზოვის ქუჩა. 2. ქალაქის ერთ-ერთ სკოლას ეწოდოს ჩერქეზოვის სახელი. 3. მოიყვანოს სისრულეში განსვენებულ ჩერქეზიშვილის განცხადება, შეტანილი გამგეობაში 1903 წელს ამ განცხადების თანახმად 2 სტიპენდია უნდა დაინიშნოს საშუალო სასწავლებელში ჟურნალისტთა შვილებისათვის, 1 სტიპენდია სპეციალურ სასწავლებელში ასეთ ამწყობთა შვილებისთვის და 1 უფასო საწოლი დაიდგას ქალაქის საავადმყოფოში დავრდომილ ჟურნალისტთათვის.

◆ **ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის საბჭოს ხმოსნის ს. პ. ეირანოვის გარდაცვალების გამო, 2 სექტემბერს საგანგებო კრება ჰქონდა ტფ. ქალაქის გამგეობას. გამგეობამ დაადგინა გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო და ამას გარდა დაესწროს ყველა პანაშვიდებსა და დასაფლავებას.

◆ **ქართულ გიმნაზიაში.** გუშინ გადახდილ იქმნა პარაკლისი სწავლის დაწყების წინ. სწავლა გიმნაზიაში დღეს იწყება.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 2 სექტემბრის დილის 9 საათიდან 3 სექტემბრის დილის 9 საათამდე, ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 12 ავადმყოფი, მორჩა და გამოეწერა 2, გარდაიცვალა 1, დარჩა 9.

◆ **ჯარიმები.** ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა 1) გეორგ ალიხანოვი 50 მანეთით, ხორცის ძვირად გაყიდვისათვის, თუ ჯარიმას არ გადიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ, 2) აბელა ლაიანცი—100 მან. საადრესო წესდების დარღვევისათვის, თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ, 3) ალექსანდრე ალექსანდროვი და მარიამ კილაძე 25 მანეთით თითო, პოლიციელის შეურაცყოფისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან ორ-ორის კვირით დააპატიმრებენ.

◆ **სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 2 სექტემბერს, ამ საზოგადოების მდივნის ეირანოვის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო საგანგებო კრება ჰქონდათ საზოგადოების საბჭოს წევრებს, რომლებმაც დაადგინეს: 1) დაესწრნენ განსვენებულის დასაფლავებასა და პანაშვიდებს, 2) გვირგვინით შეამკონ მისი კუბო და 3) განსვენებული დასაფლავებულ იქმნას სამეურნეო საზოგადოების ხარჯით.

◆ **ჯარში წასაყვანად.** გუშინ ტფ. საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საკრებულომ აცნობა ქალაქ ტფილისის სამხედრო საკრებულოს, რომ წელს ჯარში წასაყვანად ქ. ტფილისიდან დანიშნულია 211 კაცი.

◆ **გიმნასტიკის მასწავლებელნი.** თანახმად საერო განათლების მინისტრის ცირკულიარისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა დაუგზავნა მოწერილობა საშუალო სასწავლებლების ყველა უფროსებს, რომ ამ სამოსწავლო წლიდან გიმნასტიკის მასწავლებლები მოიწვიონ. გიმნასტიკა უნდა ისწავლონ ყველა კლასის მოწაფეებმა.

◆ **ახალი წიგნი.** მივიღეთ ივ. გომელაურის-მიერ შედგენილი „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები.“ გამოცემა ამხ. „სორაპნისა“. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი - გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 800 გვ. და ფერადოვანის ყდით ღირს მანეთი და ცხრა შაური.

◆ **გადასახლებული.** 2 სექტემბერს პოლიციამ შეიპყრო ტფ. მოქალაქე გიორგი გაბრიელის ძე ხარებაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ **სახალხო სახლი.** ქართულ წარმოდგენების მმართველი ახალი ჯგუფი სახალხო სახლში სეზონს დაიწყებს 15 სექტემბერს. ამ დღეს წარმოდგენილ იქნება თავ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“.

◆ **განკარგულება.** ტფ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, —პროექტორებში საღამოს 9 საათის შემდეგ ბავშვები და მოსწავლენი არ შეუშვან.

◆ **სალიტერატურო საღამო.** დღეს სახალხო სახლში ლადო ალ.-მესხიშვილის მონაწილეობით სალიტერატურო და სამუსიკო საღამო გაიმართება.

◆ **სახელოსნო სასწავლებელში.** უკვე დაბრუნდა გუშინ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ი. ა. აკუნოვი და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციაში.** 2 სექტემბერს კრება ჰქონდა სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას, რომელმაც გადასწყვიტა სექციის სკოლებში სწავლა დაიწყოს 15 სექტემბრიდან.

◆ **გაზეთის შეჩერება.** 1 სექტემბრიდან ქართული გაზეთი „ახალი გზა“ აღარ გამოდის.

◆ **ს. პ. ერანოვის დასაფლავება.** ტრაგიკულად გარდაცვლილ ს. პ. ეირანოვის დასაფლავება მოხდება კვირას, 5 სექტემბერს.

◆ **გოგოლის სახელობის სკოლაში.** გოგოლის სახელობის პირველ დაწყებით სკოლაში წელს 203 მთხოვნელს უთხრეს უარი.

◆ **ხოლერა ტფილისში.** 2 სექტემბერს თუმანოვის ქუჩაზე ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ბარბარე ესტატეს ძე ჩარკვიანისა.

◆ **მასწავლებელთა გამოცდა.** ტფილისის სასულიერო სასწავლებელში და ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში დაიწყო გამოცდა იმ სამრევლო სკოლების იმ მასწავლებელთა, რომელთაც აქამდე მასწავლებლობის უფლება არა ჰქონიათ.

◆ 25 სექტემბრიდან ტფილისში უკვალოდ დაიკარგა [illegible], რომელიც ამაღლების ქუჩაზე სცხოვრობდა.

◆ 2 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 19 უპასპორტო.

◆ 2 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, მიხეილის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში გახვეული ბავშვი მდედრობითი სქესისა, დაახლოებით ორის კვირისა.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ 1 ენკენისთვეს, საღამოს 9 საათზე 4 შეიარაღებული ბოროტ მოქმედი დასცემია სადარაჯო სახლს 113 ვერსზე იქ მყოფ დარაჯისთვის წაურთმევიათ 5 მანეთი, შემდეგ დასცემიან [illegible] სადარაჯო სახლს 109 [illegible] დუქან

◆

ქ. ტფილისის პირველ დაწყებითი სკოლების სიცოტავე.

24 მარიამობისთვეს აუარებელი ხალხი მიაწყდა ქალაქის სკოლებს. მეც ჩემი ბავშვი მივიყვანე კუკიის პირველ-დაწყებით სკოლაში, სადაც სკოლის უფროსად დამხვდა სომეხი; თურმე სომხებისა და ქართველების სკოლა ერთადა ყოფილა. კარგი და პატიოსანი. კარგა ხანი რომ ვიტორტიალეთ და მუხლები ჩამოგვაწყდა, გამოგვიცხადეს: „დღეს სომხებს მივიღებთ, ხვალ კი ქართველებსაო და მივიღებთ მარტო იმათ, ვისაც დღევანდლამდისინა აქვთ თხოვნა შემოტანილიო. იმედ-გაცრუებული დავბრუნდი სახლში, რადგან მეც თხოვნის მიცემა დამგვიანებოდა.

25-ში კიდევ მივედი ამ სკოლაში, იქნება ბედმა გამიღიმოს-მეთქი. სკოლაში ჩაწერილი ასზე მეტი ბავშვი იყო. ბევრი თათბირისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, გამოუცხადეს ვისი შვილიც იყო მიღებული. დანარჩენები კი გულდაწყვეტილები დავბრუნდით და აღარ ვიცით, სად წავიყვანოთ, რა ვუყოთ ჩვენ შვილებს? ქუჩაში ხომ არ დავტოვებთ? ქუჩაში უამისოდაც ბევრი უბედური ბავშვია დატოვებული და ლაზღანდარობაში ატარებს დროს.

ღმერთმა იცის, რამდენი მათგანი გახდება ჯიბგირი და კინტო!..

ნეტა რას ჰფიქრობს ქალაქის გამგეობა?

ტფილისში თვითმმართველობას 9 სკოლა აქვს ქართველებისათვის; დანარჩენ ეროვნებისათვის ე. ი. რუსებისა და სომხებისათვის ათ-ათი. ნეტა რითი ხელმძღვანელობს თვითმმართველობა?!

თუ იმას ტყუის—ფული არა მაქვსო, რაღა ქართველებისათვის გამოელია ფული?! სიმართლე რომ ვსთქვათ სტატისტიკური ცნობებით ტფილისში საწყალი და უმწეო ხალხი, მომეტებულად, უფრო ქართველებ არიან და მეტი ყურადღებაც ამათ უნდა მიექცეს.

კუკიის, ჩუღურეთის, ნადიროვ და დოლუხანოვის მამულებში დასა-

საფქვავი

(სურათი)

(ვუძღვნი ბიძა ჩემს ვანო ბაქრაძეს).

ჩვენი მეზობელი ლექსო ბერწიშვილი ახალგაზდა, ხელ-მოკლე და მარტო-ხელი გლეხი იყო.

თუმცა ზარმაცი არ იყო, რაც შეეძლო მეცადინეობდა მინდვრად თუ ვენახში, მაგრამ, ამოდენა გადასახადებს თუ შინაურ წვრილმან ხარჯების გამოისობით, ქენჭი ვეღარ მოიკიდა ოჯახში.

ახლა შარშან ცოლიც შეირთო, ჩვენებურივ იაკოფაშვილის ქალი—თინა. მოეწონა და იმიტომ შეირთო. მოეწონა კიდევ იმიტომ, რომ ჯერ ხომ თითონაც ლამაზი და კოხტა ქალი იყო თინა, ახლა—კარგათ და ლაზათიანად იცვამდა. ლექსოს ეგონა, ოჯახშიაც ისეთი მუყაითი იქნება, როგორც თავის ჩაცმა-დახურვაშიაო. მაგრამ, როგორც დარწმუნდა ამ ერთი წლის განმავლობაში, მოსტყუვდა. თინას „მოდნის“ ამბები უფრო აინტერესებდა ხოლმე, ვიდრე თავის ახალი ოჯახის ყურისგდება; თვალი სულ იქითკენ ეჭირა, რომ იმაზე უკეთესად არავისა ეცმოდა ჩვენს სოფელში, არც ქალსა და არც რძალსა. და, ხომ კარგად მოგეხსენებათ, „მოდნის“ მიმდევარი, ქალია თუ კაცი, ოჯახის საქმეს ვეღარ გაჰყვება გულ-დადებით.

თინას საქმეც ეგრე გახლდათ. თუმცა ჩვენი სოფლის „მოდნიცები“ ტფილისისას როგორ შეედრებიან, მაგრამ მაინც ამნაირს მეოჯახეობას კარგა ხარჯი უნდებოდა სოფლის კვალობაზე. პირველში გულკეთილი და ჭკუიანი ლექსო უარს არ ეუბნებოდა თავის კოხტა თინას და თითქმის ყველა სურვილს უსრულებდა. მაგრამ მან მალე დაინახა, რომ ეგრე ცხოვრება შეუძლებელი იყო; იმისი საწყალი კომლობა მალე განიავდებოდა და საყვავ-ყორნედ გახდებოდა, თუ სულ თავის საყვარელ მეუღლის ნებას აჰყვებოდა. ამიტომ გადასწყვიტა, უეჭველად მოერჯულებინა თინა, თავის ჭკვაზე დაეყენებინა და ოჯახის საქმეებში ჩაება.

თინას შინაური საქმის გაკეთება მაგრე რიგად არ ეპიტნავებოდა. მამის სახლშიაც ბევრჯელ მოჰხვედრია სახრე ბეჭებში, თავის მკაცრი და სამართლიანი მამისაგან, როცა მისთვის სიზარმაცე შეუმჩნევია.

თავისი ხასიათი თინას ახალ ოჯახშიაც თან გაჰყვა, რაღა თქმა უნდა.

სხვა და სხვა შემთხვევის გამო ახალგაზდა ცოლ-ქმარს უსიამოვნება ხშირად მოუვიდოდათ ხოლმე. ლექსო ცდილობდა, ჩაეკონებინა ცოლისთვის, რომ საჭიროა გარჯა და შრომა. თინას კი ეგონა, რომ ქმარი მას განგებ აჯავრებდა და აბრაზიანებდა... თორემ ქალის მუშაობა სად გაგონილაო,—მეზობლის ქალები, თუ რძლები, აბა, რას აკეთებენო, არაფერს; მაშ, იმას რაღათ უნდა ემუშავნა; თუ კი სხვები ხელთათმანებით დადიოდნენ, არ გაგვიმადლესო, იმას რათ უნდა დასწოდა მზეზე... ეს ვერ გაეგო და აურზაურს ასტეხდა ხოლმე, მაგრამ ჭკვიან ლექსოსთან მარცხდებოდა.

აი, ერთი ასეთი ამბავი მოუხდათ ლექსოსა და თინას საფქვავის გამო.

ხომ მოგეხსენებათ, რომ გაზაფხული რამდენადაც სასიამოვნო და სასურველია ყველასათვის, იმდენად ხელ-მოკლე გლეხისთვის დიდი უბედურების მომტანიც არის. როგორა? როგორა და ისე, რომ ხელ-მოკლე გლეხს პური სწორედ გაზაფხულზე შემოაკლდება. ძველი პური გაუთავდება ისეთს დროს, როცა ახალი, ჯერ შეთდოშლერებული კი არა, შეიძლება თავთავწასხმულიც არ იყოს. და აი გაუჩნდება საბრალოს საზრუნავი—პური იშოვოს ახალ მოსავლის ჩაკლებამდის სამყოფი.

ლექსოსაც სწორედ ასეთი გასაჭირი ედგა. აღარ იცოდა—ვისთან წასულიყო, ვისთვის ეთხოვა ორიოდე კოდი პური, რომ ახალ მოსავლამდის იოლას გამოსულიყო.

მშვენიერი შვიდ-მაისის მზიანი დილა მისთვის ისეთი სასიამოვნო და მიმზიდველი აღარ იყო, როგორც კულავ ყოფილა. დღეს თუ პურს არ იშოვის და არ დაჰფქვავს, საღამოზე ვახშმისთვის აღარაფერი ექნებათ.

თავმოყვარე ახალგაზდა ლექსო კი თავის თავს ნებას არ მისცემდა, რომ მეზობლებს მისი გასაჭირი შეეტყოთ. ამიტომაც ყოველი ღონე უნდა ეღონა და პური კი სადმე ეშოვა. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, გადიგდო ტომარა მხარზე და გასწია მეორე უბნისკენ.

თინას კი უთხრა: ეხლავე მოვალო.

მართლაც, ცოტა ხანს უკან, დაბრუნდა ლექსო, სავსე ტომარა მოკიდებული. ტომარა მოიხსნა, დერეფანში დადგა და დაუძახა თინას. თინა გამოვიდა. ლექსომ თინას რომ შეხედა, თვალები გაუჭყიტა; ისეთი გამოპრანჭული იყო, თითქოს ქორწილში მიდის სადმეო და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— ქალო, რო მორთულხარ, სად მიპრაკუნებ?

— სადა და წმ. მარინის ხატობაში... აი იქით ტყეში რომ არის,.. დღეს შვიდი მაისია და იმის დღეობაა.

— მერე და...

— განა მარტოკა მივდივარ რო!.. სხვებიც ბევრნი მოდიან, ჩვენი უბნის ქალები.

— ეგ ძალიან კარგი, მაგრამ იქნება იმათ შინ გამომცხვარი პურიც ბევრი აქვთ და დასაფქველიც... ჩვენ კი სამსეთა ვართ...

— რა უყოთ... აი პური ხომ გიშოვნია, ეხლა გააკეთებინე, დაფქვი და ჩვენც გვექნება.

— მერე, აბა, მოდი ნახე, როგორი ხარჯიანია... იმას კი გაკეთება უნდა... ბევრი ურევია მიწა, გვირილა და სად მამგლიჯე... არა, ამას კაი გაკეთება უნდა...—მითომ თინას სიტყვა ვერ გაიგოვო, ისე დაიწყო ლაპარაკი.

— ჰო და, თუ კარგი გაკეთება უნდა, კაი გამკეთებელიც თხლეჭამიანთ ზენუაა, დაუძახე, და გააკეთებინე...

— ზენუა მუქთად ხომ არ დაგვიცხრილავს... იმას ფული არ უნდა, შენ როგორა გგონია!?

— მერე რო უნდა, მიეცი...

— შენ რაღა უნდა გააკეთო? შენ მარტო უნდა ჰჭამო?... არა, ეგრე არ ივარგებს... შენც უნდა იმუშაო... მე თუ ვმუშაობ, შენ რაღა ხარ... შენ კი არ შეგიძლიან გარჯა და შრომა!?..—ცოტა ხმას აუწია ლექსომ, მაგრამ მაინც სიდინჯეს არა ჰკარგავდა.

— მე კი არა ვმუშაობ?.. მაშ, სახლს შენ უვლი? ეზოს შენა ჰგვი?..

— მე რათ დავგვი, როცა შენ შინა მყევხარ, მაგრამ ეგ ცოტაა, შენც მეტი უნდა გაისარჯო... რამდენსაც მე ვირჯები, იმოდენა თუ არა, იმის ნახევარი მაინც უნდა შენც შემეშველო, რომ ოჯახი ფეხზე დავაყენოთ; თორე აგილია თავი და მე დღეობაში უნდა წავიდეო, გამოპრანჭულხარ... შინკი პურის ნატეხი არ მოგვეძებნება... ეს სადაურია!.. იქ დღეობაში რა უნდა მიირთვა?.. სხვის სინაბარი უნდა წაჰკვიდე, სირცხვილი არ არის!..

— მე არ ვიცი პურის მოცხრილვა და გაკეთება... მე რა უყო... აგე ზენუას დაუძახე და გააკეთებინე...—გაბუტვით და გამოჯავრებით მიახალა სიტყვა თინამ, მაგრამ ლექსო ისევ დინჯად იყო და არ ცხარდებოდა.

— იმის ფული უნდა მივცე, ან ნაკმაზი უნდა წაიღოს და მერე რათა, რითვინა? ჩვენ გვაწყენს ე ნაკმაზი? ჩვენი ქათმები ვერ აჰკენკამენ, თუ ყელზე დაადგებათ? შენ იცი, რო იმ ერთ ტომარა ხორბალში ჰქრიანტელის მთელი ერთი კვირა უნდა უშველო ამ ზაფხულ, ეხუმრები!.. არა, ჩემო ძმაო, შენ უნდა გაისარჯო,.. პური შენც უნდა გააკეთო; მოსცხრილო, დაარკვიო; მერე მე წისქვილში წავიღებ, დავფქვამ, ამოვიტან და პური გამოვაცხოთ... ამას რა სჯობია?...

— არა, მე არ შემიძლიან, კაბა გამიფუჭდება... მე არც მოცხრილვა ვიცი...

— მაშ, არ გააკეთებ?—მტკიცე კილოთი ჰკითხა ლექსომ და დააშტერა თავისი დიდრონი თვალები თინას.

— არა. მოკლედ უპასუხა უკანასკნელმა.

— ძალიან კარგი, მაშ!... მე გაუცხრილავ პურსაც არხეინად და გემრიელად მივირთმევ... ამასთანავე წამოიკიდა ტომარა და წასვლა დააპირა.

— რასა შვრები, ადამიანო, ხომ არ გიგიჟდი, გაუკეთებელი პური როგორ იჭმება, სად გაგონილა!..—შეშფოთებულმა თინამ სტაცა ხელი ლექსოს მკლავში, რადგან ლექსოს ასეთი საქციელი იმისთვის მოულოდნელი იყო. ლექსომ კი იცოდა, რომ განაზებული თინა გაუკეთებელს, მიწიან პურს არა სჭამდა.

— მე ძალიან გემრიელადა ვჭამ, იმან იჩივლოს, ვინც ვერა ჰჭამს!..

ამ დროს გზაზე გამოჩნდა თინას მამა-იაკო, რაღაც საქმისთვი სიძესთან მიდიოდა, ხელშიაც იფნის სახრე ეჭირა.

ლექსომ სიმამრი რომ დაინახა და თინასაც დაატყო უარს ვეღარ იტყვისო, ტომარა ისევ ძირს დადო, სახლიდან გამოიტანა ფარდაგი გაშალა შუა ეზოში მზეზე; მიიტანა ტომარა და წამოყარა ზედ ხორბალი.

— შეირბინე და ცხრილი გამოიტანე... ნუ გვიანობ!..—უთხრა ღიმილით ლექსომ თინას...

თინამაც მართლაც უარი ვეღარ მოახერხა, მამის სახრე რომ დაინახა, მოაგონდა ძველი სუსხები და ხმა ამოუღებლივ შეტრიალდა სახლში, გამოიტანა ცხრილი და მოუჯდა, ისე მორთული ქალი, ხორბლის ხვავს გასაცხრილავად.

— დაიცა, ქალო, წინ საფენი გამოგიტანო, ეგრე სულ გაგიფუჭდება ეგ ახალთ-ახალი კაბა. —მხიარულად მიაძახა ლექსომ, შეირბინა შინ და წამს წინსაფენი გამოუცუცხუხა თავის მოსაქმე მეუღლეს.

მზე კარგა მაღლა წამოსულიყო და ისე აცხუნებდა, რომ არამც თ ქალს, ხშირ თმიანსაც დასწვავ თავს.

ამ დროს მოვიდა კიდეც ლექსოს სიმამრი და, რომ შეატყო, რაღაც ამბავი ყოფილაო, გაეხუმრა სიძეს:

— რას ეკამათები ჩემ გოგო შენ ეი?..

— აი, ჩემო სიმამრო, ეს ქალ აჰტყდა, გინდა თუ არა ამ ახალ კაბით უნდა გავაკეთო პურიო; კი დამენანა ახალი კაბა, ვიძუნ და დავუშალე, გაგიფუჭდება, გა ფრთხილდი მეთქი... შენ რათ

ხლებულ ქართველ ხალხს მხოლოდ ერთი სკოლა აქვთ. მეტი უსამართლობა იქმნება? აქ—ორიც ცოტაა. მათ უფლება აქვთ კანონით მოითხოვონ სკოლა; კიდეც ითხოვეს და კვლავ თხოულობენ, მაგრამ გამგონი და გულშემატკივარი ვინ არის? კარგს ინებებს ქალაქის თვითმმართველობა თუ სამართლიანობას დაიცავს და ამ უბანში მეორე სკოლას დაარსებს. ეს მეათე სკოლა აქნება, ქართველებიც უფლებით გაუთანასწორდებიან სხვა ტფილისის ეროვნებათ და რამდენიმე ათეული მოზარდი ქართველი ბავშვიც სკოლის გარეშე აღარ დარჩება.

იმედ-გადაწყვეტილი მშობელი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

გურჯაანი. ნაყოფიერად დასრულდა კახეთის რკინის გზის კომისიის მუშაობა თელავში. შეიძინეს ლიანდაგის დასაფენი მიწები. ფულის მაგიერ გლეხები აქციებზე ეთანხმებიან. სათავად-აზნაურო კომისიამ ასეთივე თანხმობა მიიღო სიღნაღის მაზრაში გზა და გზა კვლევის დროს სოფელ ახალშენისა, ველისციხისა, ჩუმლაყისა. გურჯაანისა, და ვეჯინის სოფლის საზოგადოებებისაგან და კერძო მემამულეთაგან. მცხოვრებნი დიდის თანაგრძნობით ეპყრობიან. კომისია ბაკურციხესა და ქიზიყისაკენ გაემართა. **დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**

საგლეხო ბანკის მოღვაწეობა ადგილ-მამულების შეძენა გაყიდვის საქმეში

ფინანსთა მინისტრის მიერ შეტანილს კანონ-პროექტში, საგლეხო ბანკის მიერ საკუთარ ხარჯზე მიწების შესყიდვის შესახებ, გამოქვეყნებულია ცნობები ბანკის ოპერაციებისა.

1893 წლიდან, ვიდრე 1905 წლამდე ბანკს შეუძენია 961,484 დესეტინა მიწა ღირებული 68,183,000 მანეთად. ორთა-შუა ანგარიშით, დესეტინა მიწა ღირდა 71 მანეთად, იყიდებოდა 74 მანეთად. ამავე დროის განმავლობაში საგლეხო ბანკის დახმარებით შენაძენი მიწები გლეხებს დესეტინა 93 მანეთად დაუჯდათ.

1895 წლიდან 1906 წლამდე გლეხებმა შეიძინეს 698,720 დესეტინა მიწა, 51,572,000 მანეთად ღირებული.

1906 წლიდან საგლეხო ბანკი თავგამოდებით ყიდულობდა მიწებს და 4 წლის განმავლობაში, 1906 წლიდან ვიდრე 1909 წლამდე, ბანკმა იყიდა 3,400,000 დესეტინა 357 მილიონ მანეთად ღირებული. ამ დროს დესეტინა 105 მანეთად ფასობდა, თვით საგლეხო ბანკი-კი დესეტინას 126 მანეთად ჰყიდდა. ასე რომ დესეტინაზე 21 მანეთს იგებდა.

საგლეხო ბანკის დახმარებით, ოთხი წლის განმავლობაში გლეხები მიწას ყიდულობდნენ 154 მანეთად. ამ დროს სამინისტრო სცდილობდა მყიდველებს მემამულეთა გაჭირვებით არ ესარგებლნათ და ფასები ხელოვნურად არ დაეწიათ, ამიტომ ძრიელ ფიხილად იქცეოდა.

1906 წელს გამოყოფილი იყო მხოლოდ 35,550 დესიატინა მიწა, რაიცა იმ მიზეზით აიხსნება, რომ გლეხები დარწმუნებულნი იყვნენ მიწებს მუქთად დაგვირიგებენო.

1907 წელს გლეხებს გადაეცათ 182,000 დესეტინა. ამ წლიდან მიწების ლიკვიდაცია ბანკის მიერ ასე იყო მოწყობილი, რომ მთავრობის განზრახვისათვის ხელი არ შეეშალა. მთავრობას კი განზრახვა ჰქონდა ახალი ტიპის მეურნეობა—კერძო მესაკუთრეთა მიერ მამულების შეძენა—განეხორციელებინა.

1908 და 1909 წლებში გაიყიდა 791.000 დესეტინა.

4 წლის განმავლობაში სულ გაიყიდა 1,008,000 დესეტინა, 126 მილიონ მანეთად ღირებული. თითო დესეტინა 126 მანეთად დაჯდა.

აქამდე ბანკის კუთვნილი მიწების 27 პროცენტი გაიყიდა; ბანკს დარჩა 2,653,000 დესეტინა. თუ როგორ ნაწილდებოდა გაყიდული მიწები ამხანაგობათა და კერძო პირთა შორის, ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ნუსხა:

1906 წელს სოფლის საზოგადოებამ იყიდა 6,691 დესეტინა; ამხანაგობამ—27,455 დესეტინა; კერძო პირებმა კი იყიდეს 1,080 დესეტინა.

1907 წ. სოფლის საზოგადოებამ იყიდა 67265 დესეტინა; ამხანაგობამ—101,741 დეს.; კერძო პირებმა—4,021 დესეტინა.

1908 წ. სოფლის საზოგადოებამ იყიდა 75,116 დესეტ.; ამხანაგობამ—143,858 დესეტინა; კერძო პირებმა—117,237 დეს.

1909 წელს სოფლის საზოგადოებამ იყიდა 11,210 დეს.; ამხანაგობამ—89,549 დეს.; კერძო პირებმა—379,349 დესეტინა.

ბანკის შემოსავალი მიწების ექსპლოატაციდან 1906 წლიდან 1909 წლამდე, საშუალო რიცხვით, იყო 3,3% დახარჯულ კაპიტალიდან საშუალო მოგება ექსპლოატაციდან და მიწათა გაყიდვიდან 1897 წლიდან 1905 წლამდე იყო 5,3%.

1908 და 1909 წლებში მთელი მოგება გაყიდვიდან და ექსპლოატაციიდან უდრიდა 1% კაპიტალზე. საგლეხო ბანკმაო, ამბობს წერილში ფინანსთა მინისტრი—გაჭირვებისაგან გამოიყვანა მიწის გამყიდველები, უამბანკოდ გამყიდველები სულ დაიღუპებოდნენ, რადგანაც შეიძლება იძულებით მიწები დაბალ ფასებში გაეყიდათო. საგლეხო ბანკის მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი არეულობის დროს იყო. თუ მიწათმფლობელობა 1905 და 1906 წელში სავსებით არ დაეცა, ეს საგლეხო ბანკს უნდა დავუმადლოთ. ბანკი გლეხის ინტერესსაც იცავდა. რადგან მას ღრმად გაჰყავდა ცხოვრებაში მთავრობის მიერ განზრახული პრინციპი მიწად მოწყობის საქმეში და ამით ხელს უწყობდა ამ პირობების დამყარებას, რომელზედაც დამყარებული იქნება რუსეთის კეთილ-დღეობაო. (რ. ვ.)

მოწერილი ამბები

ბეჟათ-უბანი (შორაპნის მაზრა). ბეჟათუბნის საზოგადოებაში პურის მოსავალი თითქმის სულ მოსცდა, ზოგმა არც კი მოიმკო. სიმინდის მოსავალი, ბარად, გვარიანია, მაგრამ ბევრს წლამდის მაინც არ გაჰყვება. მთებში კი ჯერ-ჯერობით, არაფერი ითქმის. თუ ადრე აცივდა, სიმინდის მოსავალი არ მოვა. ღვინის მოსავალი კი წარსულ წლებშიც ნაკლები იყო და წელსაც იმას მოველით. აქა-იქ შემოიღეს დამყნილი ვენახის გაშენება.

აქაური კუთხე თუმცა მთა-გორიანია, მაგრამ შემკული ტყე-ველით და ხეხილით; ხარობს ყოველგვარი ხე. არის საუკეთესო ჭვარი და აგრეთვე სამკურნალო წყლები. შესანიშნავია სოფ. ნუნისის „გოგილდის“ წყალი, რომელიც ნელთბილი გამოდის დედამიწიდან. საყურადღებოა აგრეთვე სოფ. ზედიდის „რკინის“ წყალი სათიბი, იქვეა „მჟავე“ სასმელი წყალი „კუჭის“ ავადმყოფობისათვის, რომელიც წააგავს „ბორჯომის“ წყალს. ეს სამკურნალო წყლები ეკუთვნის მებატონეებს, რომელთაც გაცემული აქვთ იჯარით. როგორც მებატონენი, ისე მოიჯარადრეები ცდილობენ, რაც შეიძლება, ჯიბეს ჩაქისონ და მიმსვლელების ბინაზე, აუზების მოწყობაზე და გზებზე არაფერს ზრუნავენ. საბანათ აქ უფრო ღარიბი ხალხი მოდის.

დიდ სამსახურს გაუწევენ საზოგადოებას თუ მებატრონეები და მოიჯარადრეები მოაწყობენ, როგორც საბანაო აუზებს ისე ბინებს და შეაკეთებენ გზებს, ვინაიდან უმეტესი ნაწილი, ნაცვლად განკურნებისა, სნეულების მეტს ვერას იძენს.

ამ საზოგადოებაში მზადდება დაწნილი შავი და ბოხჩის ფიცარი და გზიდებიან სხვა და სხვა ქალაქებში. მოკლე ხანში ბეჟათუბნის საზოგადოების მშვენიერი მთები ტიტველ-ხრიოკ მთებად გადაიქცევიან. მუშების მდგომარეობა აუწერელია, მათ შორის არავითარი წეს-რიგი არ არის დაცული. ვაჭრები (მოიჯარადრენი) სარგებლობენ მუშების სიღარიბით და ამუშავებენ დღით და ღამით, უქმე დღეებში და ყინვა-სიცივეებში, რის გამოც ბევრი მუშა სნეულდება. **ქართლელ-იმერელი.**

—

შორაპანი. ჩვენი დაბა აღვსილია სხვა-და-სხვა თემის ხალხით; მაგალითად: ქართველებით, რუსებით, ოსებით, აისორებით და სხვ... ესენი ყველა მუშებია: ზოგი დეპოში მუშაობს, ზოგი შავ-ქვას სტვირთავს ვაგონებში, ზოგი რკინის გზაზე და ზოგიც სხვაგან.

აქეთ კულტურული დაწესებულება არა მოიპოვება-რა, გარდა ერთი ორკლასიან რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებლისა, რომელიც აქ დაარსდა წელს. ამის აქ დაარსების შესახებ შუამდგომლობა აღძრავს სადაც ჯერ არს აქაურ მეთოხე განყოფილების, ანუ უბნის (უჩასტკის) უფროსს ბ. გასსოვსკის—მასწავლებელ თუთბერიძის და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ბ. სულაკაძის მეთაურობით; შემწეობა აღმოუჩენიათ აქაურ დეპოს უფროსის თანაშემწეს ბ. ვლადიმიროვს, მემანქანეს იგ. ცნობილაძეს და სხვას, რომლებიც ღირსნი არიან დიდის მადლობისა.

აქ საჭიროა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებაც, მაგრამ ვინ იტკენს ამისათვის თავს? არავინ! თითქმის ყველა გატაცებულია ბანქო ბილიარდ-ნარდის თამაშით, არშიყობით, ნუნუს ყლურწვით, არღნების ღრიალით, ჩხუბით და სხვა ამგვარებით. უფრო კარგ საქმისათვის რომ ვინმეს სულ ცოტა რამ გამოსთხოვოთ, ტირილით აგიკლებს და სამიკიტნო დუქნებში-კი თუნდაც მთელი თავის ცხოვრება შთანთქას, მაინც არაფრად მიიჩნევს.

ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს აქა-იქ თუ ნახავთ, თუმცა გასასყიდად ყოველ დღე დასტარებენ.

აგერ 7—8 წელიწადი იქნება მას აქედ, რაც აქ განუზრახავთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება და ფულიც მოუგროვებიათ ამისათვის; მაგრამ ეს ფულები ჩვიდმეტ თუმნამდი, მასვე უნებებია ვისაც მოუგროვებია. კაცის ვინაობას ჯერ ჯერობით არ ამჟღავნებენ, მხოლოდ განზრახვა აქვთ—თუ აღნიშნული ფულები დანიშნულებისამებრ არ მოახმარა, პირს ბადე ახადონ და მისი ვინაობა ხალხს გააცნონ.

აქ მდინარე ძირულაზე ხიდი არ არის. ხალხს კი ძლიერ ესაჭიროება გასასვლელ-გამოსასვლელად. ორი წლის წინად „შორობს“ ამუშავებდნენ და ხალხი ისე გადა-გამოდიოდა, მაგრამ ეს უკანასკნელიც წყალმა წაიღო და დარჩა ხალხი ხელცარიელი. საცოდავ სანახაობას წარმოადგენს, მეტადრე ზამთრობით, ამ მდინარეში ხარ-ურმით მოსიარულე ხალხი, რადგა მდინარე დიდია და თანაც ცივი; ხშირად შეხვდებით, რომ ტვირთით სავსე ურემს წყალი გადააბრუნებს და თვლებ სადღაც გაიტაცებს ხოლმე. ბევრჯერ მოინდომეს, რომ ხიდი გაეკეთებინათ, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერ შესძლეს.

ახლო-მახლო მდებარე სოფლებში მცხოვრები გლეხები ცუდ მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ წლევანდელ წელს, შედარებით სხვა წლებთან, ცუდი პირი უჩანს მოსავალს; პური ცოტა მოუვიდათ და სიმინდები მთლად აუხმათ სიცხით. არც ყურძნის მოსავალი იქნება, მაინც და მაინც, სასიქადულო, რადგან ისიც მსხვერპლი შეიქნა სიცხისა. სიმშილობა აუცილებელია და რა გზას დაადგნენ, არ იციან.

ამ დღეებში აქაური დეპოს ვაგონის ცხის მუშა—მისევიჩი (გვარია) არყით ძალზე დამთვრალიყო და ღამით შინ წასულიყო. გზაზე ჭიათურის რკინის გზის საქონლის მატარებელი წამოსწეოდა და გაჭყლიტა.

თუმცა ხოლერა არა გვწვევია, მაგრამ სხვა და სხვა გადამდები ავადმყოფობა მძვინვარებს. მაგალითად: ხურვება (ტიფი), მუცლა, ხველა, წითელა და სხვა. ჯერ-ჯერობით ხუთი ექვსი მსხვერპლია. **პოლისინეს ნათლული.**

—

ს. კარდანახი (სიღნაღის მაზრა). საზოგადოება კარდანახი და მის ახლო მახლო სოფლები, ხვნა-თესვას არ მისდევენ და თუ სთესენ, ისე მცირეს, რომ თითო თვეც არა ჰყოფნით ხოლმე სარჩო. აქაური გლეხისა თუ თავადის მარჩენალი ვენახია.

წელს აქეთ ვენახებიც ძალიან გაფუჭდა უწვიმობისაგან. სწორედ სამი თვეა რაც კარდანახს წვიმა არ უნახავს.

ყურძენი სიცხისგან დაჩამიჩდა და, თუმც კარგი ღვინო დადგება, სამაგიეროდ ძალიან მცირე გამოსავალი ექნება.

ამ ორი კვირის წინად ვეებერთელა აფიშები გააკრეს; ხოლერასთან საბრძოლველი ზომებია შიგ ჩამოთვლილი, მაგრამ ყურს არავინ უგდებს.

გზებზე ნაგავი და ბინძურება მეტულობს, უმთავრეს გზების ახლო საქონლის პაკები გაამრავლეს.

ჩვენ ახლო-მახლო სოფლებში ხოლერა მძვინვარებს და ჩვენი სანიტარები კი ტკბილ ძილს მისცემიან...

კარდანახელი.

ქ-ნ კორსინის ლექციები.

იშვიათად გვიგვრძნია ისეთი სიამოვნება, რაც ქ-ნ კორსინის ლექციებზე განვიცადეთ. შეუძლებელია ამ ლექციების შინაარსის მოკლედ გადმოცემა. ადამიანმა უნდა თვის თვალით იხილოს დიდებული, ფოტოგრაფიული სურათები, რომელიც თვალწინ გვიხატავს უცხო ქვეყნის მდებარეობა—ბუნებას, მკვიდრთა რწმენა-ადათებს, მის წარსულ შემოქმედების უნარსა და ნაშთს, მის დღევანდელ ყოფა-მდგომარეობას. თქვენ მოგზაურობთ ლექტორთან ერთად, და იგი, მხოლოდ ისტორიულს ცნობებსა და განმარტებას გაწვდით...

ასეთი იყო ორი ლექცია. (კუნძული ცეილონი, ეგვიპტე და ნუბია), რომელიც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ.

და შაიწუხო იავი ამნაირ საქმეში, შენ ქილბატონი უნდა იყო მეთქი.. აი ზენუას დავუძახებ და იმას გავაცხრილვინებთ მეთქი!..

— მერეო?

— მერე და კინაღამ თავი მოიკლა, მე ქალბატონი რაში ვიქნებიო, მე კი არ უნდა ვიმუშაოვო?.. თავისი არ დაიშალა, დაჯდა ახალთ-ახალი კაბით და აი სცრიალავს... მერე ამ სიცხე-პაპანაქებაში, ხელებზე ხომ მზე მოეკიდება, ჰა!..—მითომ თანაგრძნობით ამბობდა ეშმაკი ლექსო.

თინას კი ბრაზები ახრჩობდა, ვეღარა ეწამებინა რა და გაჯავრებული ცხრილს წალმა უკუღმა ატრიალებდა...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, გოგონავ!.. მე კი მეგონა, ცოტა მოიზარმაცებს და შენ იმას უჯავრდები მეთქი!..

კიდევ კარგი, ეგრე ყოფილა საქმე; მაშ, ცოტა გამოცვლილა!..

— ერიჰა, რას ამოფ, ჩემო სიმამრო! ჩემი თინა? ოქროა, ოქრო!... იცი რა ქალი მომეცი.,. შენ ვერ იცნობ ჯერა. ცოტა ხანს უკანა ნახე ე რა ჯალაბი იქნება, ყველას აჯობებს ჩვენს სოფელში.., ცალი არ ეყოლება ჩემმა მზემ. აბა, შეხედე, მერე რა გოგოა, მარწყვია, პარწყვი, ღვთის მადლმა...—თან მიუახლოვდა თინას, ხელი ყბაში ამოსდო და მიიწია, უნდა ეკოცნა განახარებულს და გაღიღებულს,.. მაგრამ თინამ ხელი ჰკრა და ლექსო ზედ ხვავზედ კი გადაკოტრიალა. გაბრაზებულმა და დარცხვენილმა თინამ რომ დაინახა ლექსოს ფართხალი თავ მოჭრილ ქათამივით, სიცილი ველარ შეიკავა და ერთი გულიანად გადიკისკისა.

— ჰე, ახია შენზედ, შე მსუნაგო, შენა!..—მხიარულად მიაძახა სიმამრმა და იმანაც მაგრა გადიხარხარა ბოხის ხმით.

მზე კი უფრო და უფრო აცხუნებდა, თითქოს ჯიუტის ადაიანის რიგიანად დასჯა უნდაო.

დ. ნახუცრიშვილი.

რუსული მექრთამეობა,

როგორც სოციალურ-ისტორიული მოვლენა *)

I

ქრთამი და **რუსული მექრთამეობა!** აი, ის ორი სიტყვა, რომელიც ძილს უფრთხობს, როგორც რუსის მოხელეთ, ისე ამ მოხელეთა უმორჩილესს რუსეთის თითოეულ მეკომურს.

მას შემდეგ, რაც „გაჰქრა გიჟი ოცნება“ და თითოეული ჩვენთაგანი ნიბლია ჩიტივით ჩირგვებში გაინაბა, ქრთამი და რუსული მექრთამეობა დიდად სალაპარაკო და სადევნელ საქმედ გადაიქცა.

დღე ისე არ გავა, რომ გაზეთებმა ახალი ამბავი არ მოგვიტანონ ხოლმე რუსულ მექრთამეობის შესახებ, დღე ისე არ გავა, რომ რომელიმე სენატორი, თუ სხვა ვინმე ქორივით არ დაეცეს ამა თუ იმ დაწესებულებას და თავის რევიზიით იქაურობა არ ააფორიაქოს.

თვითეულ სახელმწიფო სკივრსა, თუ ზანდუკს, რომელსაც კი რევიზორის თვალი მისწვდება ხოლმე, თავს დასტრიალებს მთელი ბრბო ქრთამის-ამღებთა და ქრთამის-მიმცემთა და სახურავი ამა ზანდუკისა დაუყოვნებლივ იღება იმ მოხერხებულთა წინაშე, რომლებიც მოხერხებულ დროს მოხერხებულთავე აძლევენ ქრთამებს.

ეს უხილავი მოარული—ქრთამი და რუსული მექრთამეობა—მოდებულია მთელ რუსეთში და „ფინლიანდიის თოვლიან-ყინულიან მთებიდან დაწყებული მგზნებარე კოლხიდამდე“—მრავლად მოიპოვებიან როგორც ქურუმნი, ისე მსხვერპლნი ამ მექრთამეობისა.

ამ ჟამად მთავრობა სასტიკად სდევნის მექრთამეთა და მექრთამეობას. სამზღვარ-გარედ მთელი ახალშენიც დაარსდა ერთი ჯურის ემიგრანტთა—ყოფილ მექრთამეებისა, რომელთაც იგრძნეს-რა სუსხი სისასტიკისა, სამშვიდობოს გავიდნენ.

ბევრმა მექრთამემ თავიც კი მოიკლა.

მექრთამეთა ამ სასტიკი დევნის შემდეგ, რომელიმე გულ-უბრყვილო და ალალ-მართალ ადამიანს ეგონება, რომ რუსეთის მექრთამეობას ახლა კი სამარე გაეთხარაო... მაგრამ თუ ჩავუკვირდებით რუსეთის მექრთამეობისა და ხაზინის ძარცვის გრძელ ისტორიას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სენატორთა რევიზიები ასე ადვილად ვერ ამოფხვრიან რუსულ მექრთამეობას რუსეთის ცხოვრების წიაღიდან, ვინაიდან ამ სენს ღრმადა აქვს ფესვები გადგმული და მკვიდრ ისტორიულ ნიადაგზეცაა აღმოცენებული.

ყაზანის ინტენდანტთა პროცესზე ერთმა შეგნებულმა და, როგორცა სჩანს, დიდად განვითარებულმა მექრთამე—ინტენდატმა, თავის გამართლების დროს სამართლიანად შენიშნა, რომ რუსეთის მექრთამეობა ძველის-ძველი მოვლენაა და სხვა რომ არა ვსთქვათ, პეტრე დიდის დროიდან მაინც მომდინარეობსო.

მართლადაც, მექრთამეობა და ძარცვა ხაზინისა არც ახლანდელ ინტენდანტებით დაწყებულა, და, სამწუხაროდ, არც მათი დასჯით დასრულდება.

რუსეთის ისტორიის მთელ სიგრძესიგანეზე სხვა და სხვა სახითა და სხვა და სხვა ზომით მექრთამეობა ყოველთვის ყოფილა და იქნება კიდეც. ეს ხალხის მიერ დაკარგული სამარადისო გასაღებია ხაზინის ზანდუკებისა. ამასთანავე, დიდად საყურადღებოა ის მოვლენაც, რომ მექრთამეობას ყოველთვის სასტიკად სდევნიდნენ, საშინელ სასჯელს აყენებდნენ ერთ მუჭა მექრთამეებს, რომელიც მთავრობას ხელში უვარდებოდა, მაგრამ ამავე დროს მთელი რაზმი მექრთამეებისა მშვიდობით გადარჩებოდა ხოლმე მთავრობის რეპრესსიებს.

რუსეთის ისტორიკოსის ს. სოლოვიოვის სიტყვით, ერთხელ პეტრე-დიდი ხაზინის ერთ გამძარცველის საქმის გარჩევას დაესწრო და ისეღაც აღელდა, რომ იქვე დაიფიცა: ისეთ სასტიკ კანონებს გამოვცემ მექრთამეთა და ხაზინის გამძარცველთა წინააღმდეგ, რომ ერთი გროშის ქრთამად აღებიც თუ წამლებიც კი ძაღლივით იქმნება ჩამორჩობილიო. ამაზე გენერალ-პროკურორმა იაგუჟინსკიმ გულმოსულად შენიშნა: „ნუ თუ გგონიათ რომ იმპერატორი და იქნებით, თუ კი მოხელენი და ქვეშევრდომნი აღარ გეყოლებათ. **ჩვენ ყველანი ქურდები ვართ, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ერთი ახერხებს ნაქურდალის დამალვას მეორე კი ვერაო“.**

პეტრე დიდმა მაინც სასტიკი დევნა დაუწყო მექრთამეებსა და ხაზინის მძარცველებს, მაგრამ ვერა გააწყო რა. მექრთამეობა კვლავ ჰყვაოდა.

დიდად საგულისხმიეროა პეტრეს დროის მოგზაურის ვებერის სიტყვები. „აქ (რუსეთში) ჩინოვნიკებს ისე უყურებენ, როგორც მტაცებელ ფრინველებს. გაუმაძღრებსა და უსულგულოებს ასე ჰგონიათ, იმიტომ მისცეს თანამდებობა, რომ ხალხს ტვინი ამოსწოვონ და სხვის უბედურებაზე თავისი პირადი ბედნიერება ააგონო“.

ტყვილად სწკეპლავდნენ და არიგებდნენ მექრთამე ჩინოვნიკებს მთელის მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში! ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ.

„ანგარების გაუმაძღრობა იქამდის მივიდაო—ვკითხულობთ ელისაბედ მეფის ბრძანებაში—რომ მართლ-მსაჯულებისათვის დანიშნული ადგილები სავაჭრო მოედნებად გადაიქცა, ხოლო მსაჯულთა მექრთამეობა საარაკო გახდაო“. ასევე იყო ეკატერინე მეორის დროსაც, ვერავითარმა მისმა დარიგებამა თუ დამუქრებამ ვერ გასჭრა და ბოლოს ეს მეფე-ქალი იძულებული შეიქმნა შერიგებოდა „თავის თვალით ნანახ ქურდობასაც კი“.

„თქვენ მართალი ხართ... მეცა და სხვასაც გვძარცვამენ—უთხრა ერთხელ ეკატერინე მეორემ საფრანგეთის ელჩს გრაფ სეგიურს—ჩემი თვალითა ვნახე, როცა ჩემმა კარისკაცებმა ჩემის ფანჯრიდან ვეებერთელა კალათები გადააპარეს. ეს კალათები, რასაკვირველია, ცარიელები არ იქნებოდა“.

ეკატერინეს შემდეგ მექრთამეობა და ხაზინის ძარცვა გაიყარნენ, ხოლო „რევიზორები“ კი ყოვლად უღონო და უნაყოფონი შეიქმნენ. რუსეთის იმპერატორები იძულებულნი გახდნენ ხაზინის მძარცველებთან ბრძოლაში თავი დამარცხებულად ეცნოთ.

ალექსანდრე I მწუხარებით შესჩივლა ლეგარნს: „წარმოიდგინეთ, რა საზარლობაა... ყველა მძარცველია და ერთი პატიოსანი კაცი ვერ მიპოვნიაო“. მაგრამ განა მარტო ამ იმპერატორს დაუჩივლია ამ გვარად! რომ რუსეთის უმაღლესი მთავრობა ყოველთვის უძლური იყო მექრთამეობასთან ბრძოლაში. ამის მოწმეა რუსეთის მთელი ისტორია. ვერც გაწკეპლა, ვერც გაციმბირება, ვერც მამა-შვილური დარიგება და ვერც სასტიკი დამუქრება ვერა სჭრიდა მექრთამეებზე და მექრთამეობა დღევანდლამდე ისევ ძველებურადა სუფევს...

რით აიხსნება ასეთი უკვდავება რუსეთის მექრთამეობისა? რისგანა ხდება ის გასაოცარი მოვლენა, რომ რუსეთის მექრთამეობას ერთ თავს რო გააგდებინებენ ხოლმე, ზღაპრულ ვეშაპივით მეორე თავი ებმება?

ქვევით ვრცლად გავარკვევთ ამ საკითხებს, ახლა კი მოკლედ უნდა შევნიშნოთ, რომ მექრთამეობა ღვიძლი შვილია რუსეთის პოლიტიკური წეს-წყობილებისა, იგი ერთი შტო, ერთი გრეხილია ისტორიულად შექმნილ ცხოვრების პირობათა.

მექრთამეობა იმიტომ არსებობს, რომ პოლიტიკურად ძლიერ პირისაგან პატარა და უჩინო ადამიანმა რაიმე პოლიტიკური, თუ ნივთიერ-ეკონომიური „შეღავათი“ მიიღოს. ხელი ხელსა ჰბანს და თუ ძლიერი ამა ქვეყნისა უღონოსა და პოლიტიკურად თავისზე დაბლა მდგომს ყურადღებას აქცევს და „საქმეს უკეთებს“, სუსტ მხარეს მაშ რაღა დარჩენია, თუ არა „მადლობის“ გადახდა?

ახლა ის ვიკითხოთ, როგორ აღორძინდა ძლიერება ერთისა, როგორ მოხდა რომ მეორე გადაიქცა ისეთ პიროვნებად, რომელსაც პირველი, პოლიტიკურად ძლიერი ამა ქვეყნისა ეკონომიურად სჭის, თუ იბრალებს სუსტსა და უუფლებო რუსეთის ქვეშევრდომს? ამ საკითხების პასუხშია რუსეთის მექრთამეობის გამოცანაც.

---

*) ამოღებულია გ-ნ ბერლინის წერილიდან, „Современный мiр,“ 1910 წ. აგვისტოს ნომერი.

მთელი თბილისი სავსეა ათასგვარ პროჟექტორებით და ყველა მათგანი დღემუდამ სავსეა აურებელ ხალხით. აქ მომეტებულად უაზრო და უშინაარსო სურათებსა და შარჟებს აჩვენებენ მაყურებლებს.

ჩვენ გული დაგვწყდა, რომ ქ-ნ კორსინის ლექციებზე გაცილებით ნაკლები ხალხი დაიარება, ვიდრე ეს ღირსეულად დამსახურებული აქვს მას.

არამც თუ საზოგადოება, ჩვენის აზრით, ყველა სასწავლებლები მოვალენი არიან ისარგებლონ ამ ჩინებულის შემთხვევით და მოწაფეებს ნათლად და ცოცხლად აჩვენონ სხა და სხვა ქვეყნები თავისის განმარტებით.

ერთი ასეთი ლექცია მათ უფრო მეტს გეოგრაფიულ-ისტორიულ ცოდნას შესძენს, ვიდრე მთელი წლობით მუნჯურ რუქაზე ქვეყნებისა და ქალაქების გაზეპირება.

მეტსაც გეტყვით, მხოლოდ და მხოლოდ ასეთის მეთოდით შესწავლილი გეოგრაფია მიაღწევს თავის დანიშნულებას და შეათვისებს ადამიანს ნამდვილ ცოდნას.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. როგორც მოსალოდნელი იყო, სამშაბათის წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ყველამ ვიცით „ღალატის“ ფასი და ღირსება და ამიტომაც ჩვენი საზოგადოება მუდამ მზად არის ისიამოვნოს ამ ნაწარმოების მოსმენით, თუ ეს პიესა სათანადო ღირსებით იქმნა, რასაკვირველია, აღსრულებული.

აღნიშნულ საღამოს საზოგადოება ღირსეულად შესრულებულ „ღალატს“ მოელოდა და, მართლაც, ჩვენდა სასიამოვნოდ, არც მოსტყუვდა. წარმოდგენამ გადააჭარბა მოლოდინს— და საერთოდ ჩინებულად ჩაიარა. სიტყვა „ჩინებული“ ზოგს შეიძლება გადამლაშებულად ეჩვენოს, ბევრი დეფექტებიც აღმოაჩინოს ამ ჩვენს „ჩინებულებაში“, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად გვინდა წვრილმანებს გვერდი ავუქციოთ. როდის ყოფილა, რომ ჩვენს სცენაზე პიესის მთლიან შესრულებას „რაიმე ნაკლი არა ჰქონოდეს და ეს ნაკლი, უმთავრესად, ჩვენი სცენის სიღარიბე—მოუწყობლობით არის გამოწვეული. აბა, სცენა ყოფილიყო მოწყობილი!

საზოგადოების მთელ ყურადღებას იქცევდა სამი ახალგაზრდა მსახიობი. ქ-ნი ჩირგაძისა—ზეინაბი, ბ. შარაშიძე—სულეიმანი—და ქავთარაძე—ოთარბეგი. პირველობა ეკუთვნის ქ-ნ ჩირგაძისას. საზოგადოებას იგი მოეწონა და ეს აგრე ადვილი საქმეც არ არის. ყველას უნახავს ჩვენი პირველ-ხარისხოვანი მსახიობნი ამ როლში და მათ შემდეგ პირველადვე—„ერთი ხელის დაკვრით“—ასეთი თანაგრძნობა გამოიწვია მაყურებლისა; ეს, ალბად, უტყუარი ნიშანი უნდა იყოს იმ სასცენო ხელოვნების ნაპერწკალისა, რომელიც ქ-ნ ჩირგაძის არსებაში ღვივის...

მეორე ადგილი უჭირავს ბ-ნ შარაშიძეს. იგი სულეიმანს თავისებურად თამაშობს და, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, სულეიმანს ჩვენი მსახიობები სულ სხვა და სხვა გვარად აპიროვნებენ. რომელი მათგანია სინამდვილესთან უფრო ახლო—ალაჰმა უწყის. ჩვენა გვგონია, რომ ბ-ნი შარაშიძე, უფრო ახლოს უნდა იდგეს სინამდვილესთან სულეიმანის გაპიროვნებაში.

მესამე მსახიობზე გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ოთარბეგი მისთვის მეტად მძიმე და ძნელი დასაძლევი როლია; თუმცა ეს მსახიობიც, როგორც მისი ამხანაგები, პირნათლად ასრულებდა თავის მძიმე მოვალეობას ისე... როგორც შეეძლო.

დანარჩენნი ძველი ნაცნობნი იყვნენ.

ჩვეულებრივად ღირსეული ანანია იყო ბ-ნი ყალაბეგიშვილი და ჩინებული ბესო—ბ-ნი კორიშელი.

საერთო ჰარმონიას ვერ შეუწყო ხელი გაიანემ და ლამაზი, სიცოცხლით აღსავსე, სცენა დაგვეკარგა.

კარგი იყო მესამე მოქმედებაში მასსიური სცენები. სტატისტები ჩვეულებრივად აღარ იზლაზნებოდნენ—თითქოს წებოსაგან იყვნენ ჩამოსხმულებიო—პირიქით მკვირცხლად და ცოცხლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

სამწუხაროა მხოლოდ ის თავაშვებული უზრდელობა, რომელსაც მხოლოდ ჩვენს თეატრში აქვს ადგილი. იმ მოქმედების დასასრულში, დრამის უმწვერვალეს მომენტის დროს, როდესაც დამუნჯებული ხალხი ზეინაბის მონოლოგით იყო დაპყრობილი, ვიღაც უზრდელმა მასხარამ ბალკონზე ძალად ცხვირს დააცემინა. ადვილი მისახვედრია, როგორ იმოქმედებდა ეს მოთამაშესა და მაყურებლებზე.

ასეთი საძაგლობა, ვიმეორებთ, პირველი არაა. მეტი საშუალება არ არის, ასეთ შემთხვევაში თვით საზოგადოებამ უნდა გამოანახოს თავხედი და თეატრის ადმინისტრაციას გადასცეს...

არა უშველა რა ჩვენი სცენის კულისებში წესიერებას. ლოჟებსა და წინა რიგებიდამ მუდამ სჭვრეტთ რომელიმე პირთა,—სტატისტს ან უბრალო ბიჭს, თითქმის სცენაზე გამოსულსა.

აი ნიმუში: უკანასკნელი მოქმედებაა მოსჩანს მეტეხის ციხე, გარშემო გალავანი არტყია. პიესას ჩვენ წარსულ საუკუნოებში გადავყევართ და... ციხის გალავნიდან თეთრ-ქუდიან გიმნაზიელს თავისი კაკარდიანის ქუდით გადმოუჭყეტია თვალები... რა ჰქნას, ალბად მასაც უნდა სულეიმანის თამაში ნახოს...

ეს პირველი ქართული წარმოდგენაა ქუთაისში მას შემდეგ, რაც ნ. გაბუნია-ცაგარლისა გარდაიცვალა. მსახიობ ურუშაძის წინადადებით, წარმოდგენის წინ, საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. **ჯაფარ-ფაშა.**

უცხოეთი

კრება დრამ. ცენზურის წინააღმდეგ გერმანიაში.

ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა ითხოვა ცენზურას წარუდგინონ დღემდე უცენზუროდ გამოსული პიესებიც კი.

ამ დადგენილების წინააღმდეგ მოწვეულ იქმნა მრავალრიცხოვანი კრება, სადაც ორატორებად გამოვიდნენ ედ. ბერნშტეინი, გეორგ ენგელი, ალბერტ ტრეგერი, გერმანი და სხვანი. კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„ბერლინის პოლიციის პრეზიდენტის ცდა, რომ ცენზურის ქვეშ გაატაროს ის პიესებიც კი, რომლებიც, აგერ ოცი წელია, ნება დართულნი არიან, ნიშნავს სახალხო კულტურის წინსვლის შეზღუდვას. თავისუფალ სცენის ისტორია გვიჩვენებს, რომ დრამატიული ლიტერატურა არა ჰსაჭიროებს პოლიციის თვალყურის დევნებას. კრება სასტიკ პროტესტს უცხადებს პოლიციას, რომელიც ცდილობს თავისუფალ შემოქმედების შეზღუდვას და გერმანელთა აზროვნების დასაკავებლად მოვითხოვთ—აღიაროს პოლიციის თვითნებობა, ვინაიდან დრამატიულ ხელოვნებას ცენზურის ბრჭყალები არა სჭირია“.

II

იმ დროს, როდესაც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეთა განმავლობაში, მთავრობა ერთის ხელით სულსა ხუთავდა და არჩობდა მექრთამეობას, მეორე ხელით უხვათა და ნაყოფიერად სთესდა ისეთ პირობებს, ამყარებდა ისეთ წესებს, რომელთა მეოხებითაც მექრთამეთა ახალი თაობა იზრდებოდა და იფურჩქნებოდა.

მეთვრამეტე საუკუნის მთელს მანძილზე უხვის ხელით ურიგდებოდათ აუარებელი სიმდიდრე პოლიტიკურ იმ მოლაქუცეთ, რომელთაც თავის დროზე ქედ-დაბლობითა თუ სხვა საშუალებით მთავრობის გული მოინადირეს.

მთავრობა სჯიდა რა მექრთამეებს, ამავე დროს ისე აყენებდა საქმეს, რომ თითოეული მოხელე პოლიტიკურ ძლიერებაში ოქროს მადანს პოულობდა. დიდებულნი და მოხელე-ჩინოვნიკები სისტემატიურად შეაჩვიეს იმ აზრს, რომ სიმდიდრე და ქონება კერძო პიროვნებათა საკუთრება და ნაჭირნახულევი კი არ არის, არამედ საკუთრებაა მთავრობისა, იმ მთავრობისა, რომელსაც ნება აქვს თავის სურვილისამებრ მოექცეს ხალხთა სიმდიდრეს. თუნდ გასცემს მას ქვეშევრდომებზე და თუნდა ისევ უკანვე დაიბრუნებს.

და მთავრობაც გულუხვად აჯილდოვებდა თავის მოლაქუცე პირებს. ურიგებდა მათ მამულებს, მადაროებს, გლეხებს, სხვა და სხვა ძვირფასს საჩუქრებს. უმაღლესად განებივრებული მოლაქუცეებიც სულ დაბლა და დაბლა ხრიდნენ თავს და უფროსებს ფეხებს ულოკავდნენ. დიდებულნი მეფეთა კალთას აეფარნენ, ბრბომ კი ადგილობრივ მოხელეებს, ადგილობრივ ბრძანებლებს დაუწყო ლაქუცი, სამსახურის გაწევა და მორჩილება, რომ იქნება ამ ძლიერთა ნასუფრალით მაინც გამოკვებილიყო.

მეთვრამეტე საუკუნეს რუსეთის მთავრობისათვის არავითარი ეკონომიური კანონები არ არსებობდა და ღრმათა და შეურყევლადაც დარწმუნებული იყო, რომ ყველა რაც კი გააჩნია თითოეულ მეკომურს, ქვეშევრდომს, მარტოოდენ მთავრობას ეკუთვნისო.

პეტრე დიდი, ის პეტრე, რომელიც შეუბრალებელის სისასტიკით სდევნიდა მოხელეთა მექრთამეობას და ჯოჯოხეთის ტანჯვას აყენებდა თვით მექრთამე-ჩინოვნიკს, ის პეტრე დიდი, რომელიც „ეკონომიურ სიწმინდის“ დიდი მოტრფიალე იყო, ხშირად დაბალი ღირსების ფულსა სჭრიდა, ხოლო ღირებულებას კი მეტს ადებდა. როცა კი ხაზინას ფული დააკლდებოდა ხოლმე, მაშინათვე ბრძანებდა—სრულ-ფასიანი ოქრო-ვერცხლის ფული არა სრულ-ფასიანებათ გადაადუღეთო. იყო ხოლმე დრო, როდესაც ამ გვარის ოპერაციებით მთავრობა 150% იგებდა! ლითონის ფულის ძალად გაყალბება და გაძვირება,—გაყალბება იმ აზრით, რომ ოქროსა თუ ვერცხლის ფულს ნაკლები ღირსება ჰქონოდა, ხოლო—გაძვირება იმ აზრით, რომ ეს დაბალ ღირსებიანი ფული იძულებით სრულ ღირსებიან ფულის ფასებში გასულიყო, ერთის სიტყვით, ეს ძალ-მომრეობითი და ბრძანებითი ყალთაბასდობა შეუწყნარებლად რყვნიდა რუსეთის მაშინდელ საზოგადოებას. მთავრობის ასეთი მოქმედება ხალხში ჰნერგავდა და განამტკიცებდა იმ იდეას, რომ პოლიტიკურ ძლიერების მეოხებით, შეიძლება კაცი უკანონოდ მოიქცეს, დაუსჯელად შეიძინოს ხალხის ოფლითა და პირნახულით მონაგარი სიმდიდრე და ბედნიერად იცხოვროსო.

ესევე მოვლენა ე. ი. მთავრობისაგან თავის ნებით ფულის ნამდვილ ღირებულობის გადიდება—არწმუნებდა მაშინდელ საზოგადოებას, რომ პოლიტიკურ ძლიერებს შეუძლიან ქვეყნის ეკონომიურ ძალთა ბატონობაც და, მაშასადამე, ძლიერის ხელში ხალხთა ეკონომიურ კეთილდღეობის წარმატება-აღორძინებაო. მეთვრამეტე საუკუნეში რაკი ასეთი საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა, რაკი მეფენი და დიდებულნი მარტო იმასა სცდილობდნენ რომ თავისი ხელქვეითნი რაც შეიძლება ეკონომიურადა და პოლიტიკურად დაემონავებინათ—რისთვისაც მოლაქუცეთ აუარებელ სიმდიდრეს უბოძებდნენ ხოლმე, ხოლო ურჩთა და მათთვის არა-სასიამოვნო პირს უკანასკნელ პერანგსაც კი ხდიდნენ—ვიმეორებ—რუსეთის საზოგადოებაში ის აზრი განმტკიცდა, რომ მარტო მთავრობაა პატრონი ეკონომიურ ყოველგვარ სიკეთეთა და კერძო კაცთა კეთილ-დღეობა დამოკიდებულია, მარტოოდენ მთავრობის მოწყალებაზეო. ასეთმა გულის-თქმამ დაიმონა სულიერად და გახრწნა ზნეობრივად რუსეთის მაშინდელი საზოგადოება და უმეტესად მაშინდელი მოხელეობა, ჩინოვნიკობა. შრომისა და გარჯის ნაცვლად, მცონარობა დაეპატრონა მათ არსებას. პირდაპირობისა და ვაჟკაცობის მაგიერ მლიქნელობა და ფეხის ალოკვა დაეუფლა მათ სულიერ მხარეს. შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო მაშინდელი უმაღლესი ჩინოვნიკობა, თვალთმაქცობამ და ცბიერებამ გამოატვინა იგინი.

აკი ამიტომაც, მთელი საუკუნოების განმავლობაში, დიდებულნი და თავად-აზნაურობა „გაირთხმოდნენ ხოლმე ფერხთა წინაშე“ და „მონურის ცრემლებით“ საჩუქრად გამოითხოვდნენ ხოლმე აუარებელ ადგილ მამულსა და შინა-ყმებს.

(შემდეგი იქნება).

რუსეთი

დეკანოზ ვოსტორგოვის საქმეები. დღემდე ბედნიერს დეკანოზ ვოსტორგოვს, ახლა დაჰყენებით სთხოვენ ანგარიშს, მაგრამ ის კვლავ სდუმს დარბაისლურად, თითქოს საქმე მას ოდნავაც არ ეხებოდეს. მის დამცველად გამოდის „Русское знамя“, მაგრამ მთელი მისი ადვოკატური ხრიკები ნ. დურნოვომ მიწასთან გაასწორა—აი რას უწერს ნ. დურნოვო „რუსკოე ზნამიას“ მებაირახტარეებს:

„ბ. ა. ბალაშოვი, რამდენადაც ჩვენ იმას ვიცნობთ, ორს კურდღელს არ დასდევს ერთად და მტკიცედაც ირწმუნება, ყოველი თავისი სიტყვა დაამტკიცოს, ვოსტორგოვისს ნამოწაფარი ქალი, სრულიადაც არ ჰმალავს თავის სახელს და არა თუ ჰსურს დაამტკიცოს ყოველისფერი, არამედ სურს მოწმებიც კი გამოიყვანოს სასამართლოში.“

თვით ბალაშოვიკი „Гол. Русскаго“-ს ფურცლებზე, აი, რა გვარად ჰხდის მას ნიღაბს:

„პირდაპირის გზის მეტად ჰშინებია ვოსტორგოვს. არა ერთხელ და ორჯელ დაბეჯითებით ვთხოვდი ვოსტორგოვს, სისხლის სამართალში მიეცი ცილის-წამებისთვის, თუ რასაკვირველია, ვერ დავუმტკიცებდი, რაც რომ მითქვამს. ეგ კი განაგრძობს დარბაისლურს დუმილს და მხოლოდ სიტყვიერ კილოკავებით სცდილობს თავის ბინძურ მოქმედების მიჩქმალვას. მე ცოლაც მზადა ვარ კანონიერის გზით გავყვე მას სადაც ჰსურს და არ ვერიდები პასუხის დაგვიანებას, ვინაიდან მე მინდა ყოველისფერს სინათლე მოეფინოს და დამარცხებულ იქმნას ბოროტების ბნელი სამთავრო“.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს მატივცემულ გაზეთში შემდეგი წერილი.

თქვენის გაზეთის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში, სოფელ მეტეხიდან გვატყობინებდნენ, ვითომც „18 ივლისს მე შევვარდნოდე ბარნაბიშვილებს და რევოლვერით მათი ამოწყვეტა მომენდომებინოს“. ეს ცნობა სიმართლეს არის მოკლებული და განზრახ მოგონილია ჩემდა სავნებლად. ბარნაბიშვილებმა სასამართლოშიაც მიჩივლეს, მაგრამ სასამართლომ გამამართლა, რის დასამტკიცებლადაც რედაქციას ვუდგენ ოლქის სასამართლოს დადგენილებას № 63487 ჩემი გამართლების შესახებ. **მღვდელი სტ. ბაიდოშვილი.**

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—177

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ თითო წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.**

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგ. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

სქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

19 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ:	N 1, სწრ.—საღ.	11 ს. 28 წ.
	N 3, საფ-ს.—დღ.	1 ს. 24 წ.
	N 5, სამგზ.—საღ.	7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ:	N 2, სწრაფ.—დილ.	8 ს. 15 წ.
	N 4, საფ-ს.—საღ.	10 ს. 4 წ.
	N 12, სამგზ.—დღ.	2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ:	სამგზ.—დილ.	8 ს. 28 წ.
	სამგზავ.—დღ.	3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ:	საფოსტო—ღამ.	12 ს. 22 წ.
ერევნისკენ:	სამგზაკოფ—დღ.	4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან:	N 2, სწრ.—დილ.	7 ს. 25 წ.
	N 4, საფ-ს.—საღ.	9 ს. 4 წ.
	N 6, სამგზ.—დილ.	11 ს. 4 წ.
ბაქოდან:	N 1, სწრფ.—საღამ.	10 ს. 36 წ.
	N 3, საფოს.—დღ.	12 ს. 24 წ.
	N 1. სამგზ.—დილ.	6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან:	სამგზ.—დილ.	6 ს. 28 წ.
	სამგზ.—საღამ.	8 ს. 08 წ.
ჯულფიდან:	საფოსტ.—დილ.	6 ს. 8 წ.
ერევნიდან:	სამგზაკ.—დღის.	6 ს. 33 წ.

საყმაწვილო და სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წლიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი“—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი

◀ **ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

კატალოგი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.

I

სასულიერო შინაარსის წიგნები

1.	იოსელიანი [illegible] მსა, სურათებ. ტფ. 1901	[illegible]
2.	მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ.	20 „
3.	ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ.	50 „
4.	ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . .	10 „
5.	ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. .	40 „
6.	სახარება.	

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7.	აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . .	40 „
8.	ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ.	50 „
9.	ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ.	10 „
10.	გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაში. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ.	20 „
11.	გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ.	30 „
12.	გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ.	20 „
13.	გოეტე. ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ.	1 მ. 25 „
14.	დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ.	70 „
15.	ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. .	5 „
16.	ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ.	50 „
17.	ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა.	1 მ. 30 „
18.	თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ.	20 „
19.	იერეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . .	30 „
20	მისივე კრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ.	20 „
21.	Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск. 1908 г. . . .	20
22.	მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ.	50 „
23.	ნიშაძე. კრებული. ტფ. 1909 წ.	15 „
24.	ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ.	3 „
25.	ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ.	5 „
26.	მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ.	20 „

დაბა ხონში

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების

წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკმაოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას. მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.

წიგნის მაღაზიების პატრონთა

საყურადღებოდ

იყიდება 40% დაკლებით ვინც ხუთ ცალზე მეტს იყიდის: **თხზულებანი ია ეკალაძისა** (თომაანთ კობასი) ღირებული მანეთად, და საყმაწვილო წიგნი **მელიას თავგადასავალი, ა. ნათაძისა** ღირებული 25 კაპ., დაბეჭდილი 1904 წ. მსურველთ მიმართონ „სახ. გაზეთის“ რედაქციაში **პ. ახალკაცს.** (10—7)

გაფრთხილება

რადგან **სპერმინ-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეობად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს **„სპერმინ-პელს“** და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა.** ფლაკონი ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 88456). (8—23—1)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**